

## **კანონმდებლობა**

ვებ-გვერდი startjob.ge იცავს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავიცვათ ჩვენი მომხმარებლების კონფიდენციალური ინფორმაცია, რადგან ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობა იყოს უსაფრთხო და სანდო. ვებ გვერდზე შემოსვლით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას. თუ თქვენ არ ეთანხმებით წინამდებარე დოკუმენტს, გთხოვთ შეწყვიტოთ ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობა.

წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. დოკუმენტის განახლებული რედაქცია მოცემული იქნება ამავე ვებ-გვერდზე. მოგმართავთ თხოვნით, გაეცნოთ მას რეგულარულად. უკანასკნელი განახლების თარიღი მოცემულია გვერდის დასაწყისში.

## **უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები და მოქმედების სფერო:**

პერსონალური მონაცემები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან სხვა მახასიათებლით.

ჩვენს მიერ მოხდება პერსონალური მონაცემების შენახვა/დამუშავება კონკრეტული მიზნით და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ კომპანიის საჭიროებების შესაბამისად.

მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს. მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს, ასევე, უნდა გადამოწმდეს ინფორმაციის წყაროს სანდოობა, გასწორდეს მცდარი და არაზუსტი მონაცემები. პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

## **საიტზე რეგისტრაცია:**

ჩვენს საიტზე რეგისტრაციით და მისი გამოყენებით თქვენ გვიდასტურებთ, რომ გაეცანით ჩვენს წესებს და პირობებს და ამავდროულად ხართ სრულწლოვანი და პასუხს აგებთ ყველა ქმედებაზე, რომელსაც განახორციელებთ ჩვენს ვებ-გვერდზე.

აუცილებელია მაქსიმალური სიზუსტით შეიყვანოთ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელსაც ჩვენს საიტზე რეგისტრაციის დროს მოგთხოვთ.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი, იმ შემთხვევაში თუ თქვენი პირადი მონაცემები და ინფორმაცია არ იქნება სწორად ან სრულად მითითებული ვებ-გვერდზე.

## **მომსახურება:**

ვაკანსიის დამატებისას მითითებული ინფორმაცია ექვემდებარება შეცვლას ნებისმიერ დროს გაფრთხილების გარეშე.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ამოვიდოთ ნებისმიერი ვაკანსია რომელიც შეიცავს ცრუ/არაზუსტ ინფორმაციას გაფრთხილების გარეშე.

### **ანგარიში:**

როდესაც თქვენ ქმნით საკუთარ ანგარიშს ჩვენს ვებ-გვერდზე, აუცილებელია ინფორმაცია იყოს მაქსიმალური სიზუსტით და სრულად მითითებული. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გვამცნოთ იმ შემთხვევაში თუ რაიმე ეჭვს შეიტანთ იმაში, რომ თქვენ პირადი ანგარიშით შეიძლება თქვენი ნებართვის გარეშე ვინმე სხვა პიროვნება სარგებლობდეს.

### **ფასები:**

გადახდის საფასური ნაჩვენებია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში)

ფასები შესაძლოა შეიცვალოს ყოველგვარი შეტყობინების გარეშე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას დროთა განმავლობაში შეცვალოთ სერვისის ფასები შეტყობინების გარეშე.

### **გადახდა:**

**თანხის გადახდა შეგიძლიათ ნებისმიერი ტიპის visa / mastercard ბარათიდან, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.:**

ამ შემთხვევაში შეგყავთ თქვენი ბარათის მონაცემები და ხდება თანხის ჩამოჭრა

### **თანხის დაბრუნება:**

თანხის დაბრუნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაკანსიის შეჩერება მოხდება ადმინისტრაციის მიერ. ამ შემთხვევაში გადახდილი თანხა ბრუნდება სრულიად.

ვაკანსიის თვითნებურად შეჩერების შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.